

მ. ბერიძე


უმო-სტრიტის მიღამოვები

— ეს სიცრუეა, ჯონ, ახე არ გამოვა, კომუნისტები არც ერთ გეგმას ზუსტად არ ახრულებენ!
— მართალი ბრძანდებით, სერ, კომუნისტები არც ერთ გეგმას ზუსტად არ ახრუ-
ლებენ: იტყვიან ხუთასი ფაბრიკა უნდა ავაშენოთ—შვიდასს ააშენებენ, ექვსასი სა-
ნატორიუმი უნდა ავაგოთ—ცხრაას ააგებენ!..



მ. ბერიძე

ს ი ა ს ბ ი



ნახ. გ. ლომიძისა



1. — აბა, შენ იცი, თახხინ!

2. — მოდი ჩემთან, თორემ წაგართმევენს..

3.



დევდიმა მალაზია ჩქარი ნაბიჯით გაიარა და როგორც კი ქუჩაში გავიდა, იმწამსვე მოიხსნა სათვალე. დიდხანს სინჯა და ატრიალა ხელში. „თვალში სინათლე მოჰყვა, — ფიქრობდა დევდი, — მაგრამ ძვირად კი ვიყიდე... არ არის საშველი, ცეცხლი ეკიდება ყველაფერს...“

სათვალე ცხვირზე ჩამოიღო. კარგა ხანს ისწორა და მერე მოგუგუნე ქუჩას შეუერთდა. მისი ჩაცმულობის მიხედვით ყველა იცნობდა ლარბ ფერმერს. სათვალე სასაცილოდ ხდიდა, (ყოველ შემთხვევაში ასე ეგონა მას), ცხვირზე ისე უღიტინებდა, თითქოს ბუზი ახისო. წამდაუწუმ ისწორებდა სათვალეს, მიდიოდა და ათვალეირებდა მალაზიებს, მყვირალა აბრებს. კარგა ხანს იხეტიალა. გადაწყვიტა დანაყრებულებო. ერთგან დიდი ფუნთუშები ეწყო. ფასი იკითხა და როცა პატარა ბიჭმა უპასუხა, გაუკვირდა: ასე იაფად? ამაზე გაცალეებით პატარა ამ დალათ ამდენივე დამაფასესო!

მიიხედ-მოიხედა. ბავშვის მეტი არაფერი იყო. ფული ჩქარა გამოძებნა. ბავშვს ჩანთა მიუშვირა.

„ბავშვი შეცდა ალბათ“ — გაიფიქრა და არ გამომედეგნონო, ჩქარა მოსცილდა იქაურობას.

ბარში შესულმა სათვალე მოიხსნა, ჩანთიდან ფუნთუში ამოიღო და გაკვირვებისაგან პირი დაალო: სადღა იყო წყლანდელი დიდი და იაფი ფუნთუში. ხელში შერჩა ისეთი, როგორიც დილით იყიდა: პატარა, მუშტისოდენა!

დიდხანს ატრიალა ხელში ფუნთუში. უცებ მოისაზრა: სათვალე ცხვირზე დაიდო და ფუნთუშს შეხედა. ფუნთუში გადიდდა.

— ფუ, შე დაწყევლილო, ვფიქრობდი, სინათლეს მომიმატებ-მეთქი და მაბრმავებ?! — ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა

დევდიმა, უნდოდა სათვალე დაეფშვნა, მაგრამ დაენანა და ჯიბეში ჩაიღო.

— არა, არაფერი გამოცვლილა... პრეზიდენტი განა ჩვენზე ზრუნავს! — ფიქრობდა ქუჩაში გამოსული დევდი. მოედანზე ხალხის ბრბომ გაიტაცა. რალაცაზე შედგა, კისერი წაიგრძელა და დაინახა ბრბოს შუაგულში ღია მანქანა, რომელშიც სათვალეებიანი ჯენტლმენი იდგა და ხელში ჯოხს ატრიალებდა.

— რა მოგვცა მაგათი პარტიის პრეზიდენტმა? — არაფერი! — ლაპარაკობდა დევდის გვერდით ვიღაც მუშა, — (დევდი გუნებაში დაეთანხმა მას). — ახლა კიდევ ენას წაიგრძელებს, ჩვენი კაცი აირჩიეთ და აგაშენებთო.

ჯენტლმენმა სათვალე შეისწორა. დევდს მოაგონდა თავისი სათვალე, რომელმაც მწარედ დასცინა წელან მის ლარბ ჯიბეს.

ჯენტლმენი ჯოხს ატრიალებდა და ლაპარაკობდა.

დევდიმა მწარედ გაიღიმა და გაიფიქრა: „ეჰ, სტყუი... სტყუი...“ ჯენტლმენი კი განაგრძობდა:

— შეხედეთ, ჩვენი ქვეყანა როგორ ფართოვდება, როგორ მდიდრდება, უსაზღვრო ხდება! ჩვენი ქვეყანა დიდი ქვეყანაა და ჩვენი კანდიდატის ღვაწლიც დიდი!

დევდიმა ველარ მოითმინა, მოქაქანე ჯენტლმენს ნერვიულად შესძახა:

— სათვალე მოიხსენით, სერ, სათვალე მოიხსენით!

დავა მოხუცმა კაფიქრმა



ამ დავამ მე გამახსენა ბავშვობის დროის ამბავი:
 თურმე, რომ ვიბადებოდი, უკუნი ღაჟე ყოფილა,
 მშობლებს კრაქიც არ ჰქონოდათ, მთვარემ შუქი არ
 მოფინა,
 და ბნელში დაბადებულსა ხუმრობით „ბნელო“ მიწოდეს,
 შემდეგ „ბენია“ დავირქვი, მაგრამ კვლავ „ბნელოდ“
 მიცნობდნენ.
 დღეს სულ სხვაგვარი დრო არის, ღამეც მზის შუქი
 გვინათებს,
 ხედავთ: ბავშვი თვალს ვერ ახელს, ვერ უძღვებს ამდენ
 სინათლეს.
 ხანა იქნება ბრწყინვალე, ვით ჩვენი დროის კალთები,
 ნათელში დაბადებულსა, ცხოვრება ელის ნათელი...
 მიუხვდნენ მოხუცს, მიუხვდნენ, თუ რა უნდოდა
 სათქმელად,
 ხმა აღარ ამოუღიათ და... ბავშვს დაერქვა „ნათელა“.

სვებედნიერი ოჯახი, მეზობლები და სტუმრები
 ნატვრის ახდენით ხარობენ, ქალიშვილს მონატრულები.
 ვით გაბაშვილის ნახატი, დედა წვეს გაღიმებული,
 მარჯვე მარჯვენით განთქმული, კარგი ქალობით ქებული.
 წვეს, წამოდგომა სწადია, ხალისით ფრთები აისხა...
 იქ მყოფთა საუბარს ერთვის ხმა ახალ მოქალაქისა.
 მაღალ ჰერიდან ნათელი ნიაღვარივით იღვრება,
 თბილისს ჩართული რადიო მღერის მოსკოვზე სიმღერას.
 სხედან სტუმრები, ფიქრობენ, ფიქრებს არც ერთი არ იშლის,
 ერთმანეთს ეჯიბრებიან, სახელს ურჩევენ ქალიშვილს.
 ზოგმა თქვა: — „ნუნუ ჯობია“, ზოგმა — „ნინოა ქებული“,
 მაგრამ ვერც ერთზე შეთანხმდნენ, დავაა გაცხარებული.
 ამ დროს წამოდგა მოხუცი, ოჯახის ფუძე-კედელი:
 — ეჰ, რა ხნისა ვარ, შვილებო, ისეც თქვენ დამიბერდებით,
 ძველისძველ მართალს რომ ვიტყვი, ეხლა გგონიათ ზღაპარი,

ნოდარ შამანაძე



ნათესავთა შორის

ნახ. ა. კანდელაკისა



— ნუთუ ასე უყვარდათ დირექტორი, რომ მისმა მოხსნამ ყველა თანამშრომელი ასე დააღონა?!
 — სიყვარულით როგორ არ უყვარდათ, მაგრამ ეგენი ყველაზე მეტად იმან დააღონა, რომ როცა ყო-
 ფილი დირექტორი ახალ ადგილზე მოეწუბა; მაგათ თავისთან ველარ გადაიყვანს!

სოფელი გვერდულეთი გაგე-
გონებათ, ის ჩვენი რაიონის ერთი
ჩვეულებრივი სოფელია. იმდენ-
ნად ჩვეულებრივი, რომ აქაური
ღვინო და არაყი სულ მცირე
გრადუსით თუ განსხვავდება
კარდანახულისაგან.

ღვინო-არაყმა რატომღაც
ამავე სოფლის კოლმეურნეობის
ყოფილი თავმჯდომარე გაგვა-
ხსენა თავისი ყოფილი ბუხპალ-
ტერ-საწყობის გამგით.

ეს სამეული ფეხმორთხმული
იჯდა ერთ საამურ ფანჯატურში,
ღვინით საგვს ჯამს ჯამზე ცლი-
და, და ცლილ ჯამს გადმოატ-
რიალებდა და იტყოდა: „ასე
მტერი დაგვეცალოსო“. იმდენი
სადღეგრძელო დალიეს და
მტერი იმდენჯერ ახსენეს, კაცი
იფიქრებდა — მთელი სოფელი
ამათ წინააღმდეგ განწყობი-
ლაო. თუ იფიქრებდა, მართა-
ლიც იქნებოდა!

მაგრამ ღვინის ამარა, ფან-
ჯატურში ნუ მივატოვებთ შე-
ზარხოშებულ სამებას. თავ-
მჯდომარემ სამადლობელის შემ-
დეგ თქვა:

— ყველა ყველაა, ბიჭებო, მაგ-
რამ ამ ღვინო-არაყს ხომ გვიან-
გარიშებენ!

პირველად ბუხპალტერი გა-
მოეხმაურა:

— სანამ თეთრი და შავი არ-
სებობს, ამქვეყნად არაფერი
დაგვაკლდება!

— ეგ რაღას ნიშნავს? — თით-
ქმის ერთად ჰკითხეს თავმჯდო-
მარე-საწყობის გამგემ.

— თეთრი ქალაღს ნიშნავს,
შავი — მელანს. — ახსნა ბუხპალ-
ტერმა. — თეთრზე შავით დაწე-
რილ აქტს იმოდენა ძალა აქვს,
ათსართულიან სახლს ცეცხლს
მოუკიდებს, დაწვავს და ნაც-
რისგან ისევ სალხს ააშენებს!

„მარიფათში შემოგველო“ —
იკივლა თავმჯდომარემ და ბუხ-
პალტერს უყრის ძირზე აკოცა.

ჯერ ისევ ბახუსის გავლენის
ტყვეობაში იყვნენ თავმჯდომა-
რე, ბუხპალტერი და საწყობის
გამგე, რომ თეთრზე შავით და-
წერილ აქტს ხელი მოაწერეს.
აქტში კი ეწერა: მავან და მა-
ვან კოლმეურნეობას 20 კილო-
გრამი არაყი და 367 ლიტრი
ღვინო დაუდევრობით დაედ-
ვარა და გაუქმებულად ჩაით-
ვალოსო.

ისევ არ იფიქროთ, მკითხვე-
ლო, თითქო ამდენი მათრობე-

თეთრისა და შავის კამკამი

ლა სითხე ჩვენს მიერ ხსენე-
ბულ ქეიფის დროს „დაღვრი-
ლიყოს“. არა, ეს ზარალი მრავ-
ალი დღის თანდათანობითი
„დაუდევრობის“ შედეგი გახლ-
დათ.

არც ისე იფიქროთ, თითქო
367 ლიტრი ღვინო ერთ წელი-
წადს ჰყოფნოდეთ ხსენებულ ამ-
ფსონებს. არა, დღეში ერთი
ლიტრი სამ კაცს რას უზამდა.
ასეთი თეთრისა და შავის ძლიერ-
ებით აქრელებული აქტი არა
ერთი დაიწერა და აქტების ხე-
ლოსნები რომ ყოველდღე მთვრა-
ლები იყვნენ, ამას მათი შემდე-
გი საქციელიც კი ამტკიცებს:

კოლმეურნეობა მეცხოველეო-
ბის სახელმწიფო გეგმის შეს-
რულებლაში სამარცხვინოდ ჩა-
მორჩა. თავმჯდომარემ კარგად

იცოდა, რომ ამის გამო პირზე
არ აკოცებდნენ. „როგორ მო-
ვიქცეო“, ბუხპალტერს შეჰლა-
დადა.

„თეთრისა და შავს გაუმარ-
ჯოსო“, თქვა ბუხპალტერმა,
ქალაღი და მელანი მოიმარჯვა,
შუბლზე თითი მიიღო და და-
წერა: კოლმეურნეობამ კოლ-
მეურნეთაგან 276 სული ცხვა-
რი შეიძინაო.

— კაცო, ძმაო, — კინაღამ გა-
დირია ფერმის გამგე, — ამ აქტ-
ზე რომ ხელს მაწერიებთ,
ვაქვით რევიზია მოვიდა, რომ-
მელი ფარიდან მიეუთვალა 276
სული ცხვარი?

— კაცო, ძმაო, კოლმეურნე-
თა ბაკებში ერთი და ორი
ცხვარია დამწყვედილი? კოლ-
მეურნეობისათჳა უთხარი,

ნითაღწყაკოული „კანონით“

წითელწყაროს კოლმეურნეობის გამგეობამ მექანიკოსი
სარიანი დააჯილდოვა 1.000 მან. და 100 კილოგრამი ხორ-
ბლით იმის გამო, რომ მან დროზე შეაკეთა მანქანა.

ნახ. ა. კანდელაკისა



— ჩვენს თავმჯდომარეს უნდა ვუჩივლო.

— რა დაგიშავა?

— ერთი კვირაა მანქანა მშვიდად დამყავს, არ-
ხად არ გადავჩენე და ჯილდოს მაინც არ მაძლევს!

ტყუილად დაჩემებაზე უარს ვინ
გეტყვის! — დაამზვიდეს ფერმის
გამგე.

ერთი სიტყვიც, რომ დღეებში
ასეული სული ცხვარი განსახ-
ლკრული დროის განმავლობაში
კოლმეურნეობის საკუთრებად
ითვლებოდა, შემდეგ კი „გეგმა
რომ შეასრულეს“, ისევ „კოლ-
მეურნეებს გაუნაწილეს“.

მორიგი თეთრისა და შავის
კომბინაცია საზამთროს შეესო.

მოგვხსენებათ საზამთრო
მრკვალი პროდუქტია. ზოგ-
ჯერ ხელის წაკვრაც არ უნდა,
ისე მიგორავს თავისით. მიგო-
რავს და საით, თვითონაც არ
იცის. ასეთი უგზო-უკვლო გა-
გორების შედეგად კოლმეურ-
ნეობას 1907 კილოგრამი სა-
ზამთრო დააკლდა და თეთრზე
შავით დაიწერა: წლის მოსავა-
ლი იყო, კოლმეურნეებმა შექა-
მეს, რაღა გვეთქმის, ღმერთმა
შეარგოთო.

გაიგო თუ არა კოლმეურნეო-
ბის ბრიგადირმა თეთრისა და
შავის ძლიერების ამბავი, ერთი
წუთითაც არ გარინდებულა. მას
რომ 1293 მანეთის ინვენტარი
აკლდა, ამის შესახებ აქტი შე-
ადგინა: დასამტკიცებელი უნდა და-
იმტკიცეს, ჩემი რა ბრალი იყოო,
თვითონვე კენტად მოაწერა ამ
აქტზე ხელი და ბუხპალტერს
საქმეში ჩააკერებინა.

ეს ამბავი რომ გაიგო, მეო-
რე ბრიგადირმაც დააღწია თა-
ვი გარინდებას. „სასწრაფოდ
შემიდგინეთ აქტი, მე რომ ყვე-
ლი წავილე გასასყიდად, 123
კილოგრამიდან 12 კილოგრამი
დამაკლდაო...“

ეს და სხვა „დანაკლისიც“
კვლავ თეთრზე შავით დაიწერა...
ნიანგმაც ბლომად მიიღო
თეთრზე შავით დაწერილი მასა-
ლები. მიიღო სიღნაღის რაი-
ონის სოფელ ჯუგაანიდანაც:
იქ გარკვევით და ეჭვმიუტან-
ლად სწერია, რომ სწორედ
მსგავსი ამბავი მოხდა ამ სოფ-
ლის კოლმეურნეობაში, რომელ-
შიც აბრამ ჩითინაშვილი თავ-
მჯდომარეობდა, კუჭულაშვილი
ბუხპალტრობდა, ხოლო ალა-
დაშვილი — ბრიგადირობდა.

თითქოს ასლი გადაუღიათო,
მათ საქმიანობას ისე აავს ზე-
მთ მოთხრობილი.

მაგრამ „თეთრისა და შავის“
კომბინატორებს ერთი რამ არ
გახსენებიათ:

თეთრზე შავით წერია, აგ-
რეთვე, კანონი საზოგადოებრი-
ვი ქონების დატაცების წინა-
აღმდეგ!

საჩივრის ნივთები ჩივიან

გამყიდველმა ზომა-წონაში მოგატყუათ. შეურაცხყოფილი, აღშფოთებული მოითხოვთ საჩივრის წიგნს. გეუბნებიან დირექტორს აქვსო. დირექტორი კი — სწორედ მაშინ გადაიკარგება საათობით: ან „თათბირზეა წასული“, ან „ახალ საქონელს ღებულა...“ თუ ნებისყოფა გეყოთ და დაელოდეთ, საჩივრის წიგნს იოლად მაინც ვერ ჩაივლებთ ხელში. არც დირექტორმა იცის სად ინახება იგი. დირექტორის ბრძანებით იწყება წიგნის გამალებული ძებნა. ყველაფერს ჩხრევენ და სწორედ იქ არ ეძებენ, სადაც ის ნამდვილად უნდა იყოს. ბოლოს აღმოჩნდება, რომ წიგნი, როგორც წესია, თურმე, მოლარესთან ინახებოდა...

თუ გადავთვლიერებთ თბილისის მაღაზიების საჩივრის წიგნებს, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ მომხმარებლები კი არ ჩივიან, თურმე, ასეთ დღეში ჩაცვნილ საჩივრის წიგნებსაც შეძლებიათ ჩივილი.

ჩივის თბილუნევერმაღის ცენტრალური მაღაზიის საჩივრის წიგნი:

ა. წ. 28 ივნისს მყიდველები: კ. ხაქაპურიძე, ე. კამიშოვა (ბაქოდან), რ. ტონაკანოვი და სხვ. სწერენ საჩივარს საგალანტერიო სექციის გამგის საამოვის უხეშობის შესახებ, მის მიერ ვაჭრობის წესების დარღვევას ეხებიან. 1 ივლისს მაღაზიის აღმინისტრატორი ვ. ჩოჩია დირექტორის სახელით აცნობებს მომხმარებლებს, რომ „საამოვი მოხსნილია სამუშაოდან“.

გადის ათი დღე. 8 ივლისს მყიდველები: ლაშაური, ლარიბაშვილი, ლომოური და გოგილოვი წერენ საჩივარს... კვლავ საამოვზე. 10 ივლისს ვ. ჩოჩია დამშვიდებული უპასუხებს: „გალანტერიის სექციის გამგე ამხ. საამოვი განთავისუფლებულია არა ერთხელ სავაჭრო წესის დარღვევისათვის“. ნუთუ ათი დღე მოუნდა მოხსნილ საამოვის საბოლოოდ მოხსნას?! ამ ათ დღეში რამდენ ათეულ უწესობას ჩაიდენდა? სხვათა შორის, ეს ის საამოვია, ამას წინათ თავის სექციაში ზედმეტი საქონელი რომ უპოვეს და მაინც მოახერხა პასუხისგებიდან თავის დაღრენა.

იცავს დირექცია თავის თანამშრომლებს, კბილებით იცავს გამყიდველ გეგეპკორს, რომლის მიმართ საჩივრებით აჭრებულულია წიგნი. — „ბეური და ბეური საჩივარი არა სამართლიანია“-ო, — წერს ვ. ჩოჩია.

ჩივის თბილისის კვებავაჭრობის № 6 მაღაზიის საჩივრის წიგნი.

3 მაისს გამყიდველი გომურიშვილი უხეშად მოექცა მყიდველ გოგიტაშვილს. 4 მაისს მაღაზიის დირექტორი წერს პასუხს: „გამყიდველი გომურიშვილი ჩვენს მიერ გაფრთხილებულია, გამეორების შემთხვევაში მოხსნილი იქნება სამუშაოდან“. 21 მაისს გომურიშვილი კვლავ უხეშად მოექცა მოქფურცელაძეს. დირექტორი კვლავ წერს ასეთ პასუხს: „გამყიდველი გომურიშვილი ჩვენს მიერ გაფრთხილებულია, განმეორების შემთხვევაში მოხსნილი იქნება სამუშაოდან“.

იმ დალოცვილ დარექტორს, როცა მეორე პასუხს წერდა, მძიმე მაინც დაესვა სხვა ადგილას!

ჩივის თბილუნევერმაღის № 1 ფილიალის საჩივრის წიგნი:

7 თებერვალს მყიდველია ჯგუფი ამხილებს გამყიდველ იჩენკოს, ქვითრებს მხოლოდ თავის ნაცნობებს აწოდებდაო. 8 თებერვალს ფილიალის დირექტორი ნ. ბაკურაძე ასეთ პასუხს წერს: (მართლწერა დირექტორისაა).

„ამხ. მომხმარებლებს. მე თქვენი განცხადება შევისწავლე და გაცნობებთ, რომ რთული იქნება ფაქტის დადასტურება იმისა, რომ გამყიდველი იჩენკო არჩევდა ხალხს, რომლებიც მუდმივად იმყოფებოდა მაღაზიაში და იმათ აძლევდა, მართალია წინ მდგომ ხალხს აძლევდა ჩეკებს, სპეკულიანტები იყვნენ თუ არა ამას გამოარკვევა ვერ შევძელი, მხოლოდ გაფრთხილებული გამყიდველი“.

დირექტორი სპეკულიანტებს მეორე დღეს ეძებს, მაშინ, როდესაც მათ იჩენკოს საშუალებით საქონელი არათუ აღებული, გადაყიდულიც კი ექნებოდათ.

ამას წინათ, გამყიდველმა ჯანაშვილმა მყიდველ სამადაძეს სამი მეტრი მიტკლის ნაცვლად 2 მეტრი და 95 სანტიმეტრი მოუჭრა. კონტროლიორმა აზურხანოვმა ათჯერ გაზომ-გამოზომა და სამადაძის მიტკალი რალაცნაირად 2 მეტრი და 97 სანტიმეტრი გამოიყვანა. ფილიალის დირექტორი მოქ. სამადაძის სამართლიან საჩივარს ასე უპასუხებს: „ნორმის არასწორი მიზეზი იყო უთანასწოროდ მიტკლის გაჭრა“-ო. ეს განაცხადა, მაგრამ იმ წუთსავე შეეშინდა და ჯანაშვილი სამსახურიდან მოხსნა. ერთია საინტერესო: თუ ჯანაშვილი მართალი იყო, რად ხსნიდა და თუ ჯანაშვილი მოხსნა, კონტროლიორი აზურხანოვი რატომ გადარჩა?!

არ ჩივის „გლავკონდიტერის“ მაღაზია № 2-ის საჩივრის წიგნი, შიგ სამი შენიშვნაა ჩაწერილი და აქედან ორი მადლობისა. ნუთუ ულაპარაკოდ უნდა დავიჯეროთ, რომ საშაქარლამოში შესული, ტკბილეულობის შემხედვარე მომხმარებელი ტკბილ გუნებაზე დგება და მხოლოდ მადლობას უწერს მესაქარლამეებს?
ვინ იცის!

ბ. სიმონიძე

უქნაპას განმარტება

ზოგიერთ კოლმეურნეობაში სიმინდის გათონა ძალზე დაავიანეს.

ნახ. გ. ლომიძისა



— რისი ბრალია, რომ სიმინდი ასე დაგვალულია?
— ალბათ მისივე ბრალია, კულტურულ მცენარეს ველურმა ბალახმა როგორ უნდა აჯობოს!

პატივცემული ტიმოთე, ანუ ტიმოფეი, როგორც მას უფრო ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე, ერთადერთი ნიშანია, რომელიც ჩვენი მთავბუხის პიროვნების დასახატად გამოგვადგება. ტიმოთეს წვერ-ულვაშზე ვილაპარაკებდი, ასეთი რომ გააჩნდეს, ახოვანებაზე ჩამოვიდებდით სიტყვას, მაგრამ სკამზე ძლიერ მოჩანს იგი.

ასეა თუ ისე, ამას წინათ ოჯახში მისი დაპატივება განვიზრახე.

— რატომაც არ წამოვალ, — მითხრა მან, როცა მასპინძლობა შეეთავაზე, — მართალია, ამ ბოლო დროს ძალზე შერცხვენილი ვარ შენთან, მაგრამ რა ვქნა, ძამიკო, აკრძალეს ავანსი და კანონს ხომ არ დავარღვევ...
როცა ფეხი კიბეზე შევედით, იკითხა:

— შენი ბაბაღე ალბათ სახლში იქნება

— სად წავა! — მიუთხრა მე.

— უნდა ამსახურო, ბიძია, უსაქმურობა ბოროტების დედაა. ქალი თუ მამაკაცის ტოლია, შრომაშიც თანასწორი უნდა იყოს.

— ბავშვებს უფლის.

— იოლ საქმეზე დაგიყენებია. ბავშვებსაც უნდა მოუაროს, სამსახურშიც უნდა იყოს. როგორ ასწრებენ სხვა ქალები!

ასეთი ლაპარაკით აივანზე შევედით. მეზობელ აგრაფინას მომავალი თაობის ჩემი ოთხი წარმომადგენელი მწკრივში ჩაეყენებინა და ავარჯიშებდა. იმ წუთშივე მივხვდი ბავშვების დედა რომ სახლში არ იყო.

ბოზი საქმე

მწკრივში ჩამდგარ ბავშვების დანახვაზე სტუმარი ცუნცრუკად გადაიქცა.

— სმენა! — დაიძახა ხუმრობის გუნებაზე დამდგარმა ტიმოთემ. ბავშვები გაიკიბნენ და ერთი წამის პაუზის შემდეგ:

— ნიკო! — დაიძახა უფროსმა.

— თიკო! — მიაყოლა მიმდევრობა.

— გურამ! — განაგრძო მესამემ.

— ზურა! — დაამთავრა მეოთხემ და ახალ-გაცნობილები სტუმარს შემოეხვივნენ.

— რა ბედნიერებაა! — დაიძახა ტიმოთემ, — სწორედ სამოთხეში ყოფილა შენი ცოლი. სამსახური ხომ არ აწუხებს და მთელ დღეს, გართობის გარდა, არაფერი არ იცის. შვილი რომ მყავდეს, ცას დავეწვოდ!

ბავშვებმა იატაკზე მოიკალათეს და „სახლობანას“ თამაშს შეუდგნენ. მე და ტიმოთე გაზეთს ვკითხულობდით და რამდენჯერაც სიტყვა „ტრუმენი“ ამოვიკითხე, ტიმოთემ იმდენჯერ თავისი შენიშვნით შემაჩერა: „ფეხით ჩამოსაკიდებელია, ბიძიკო, ეგ ტრუმენიო“. ბავშვები დროგამოშვებით საუბარში გვერეოდნენ და რაკი აღარ მოგვისვენეს, ტიმოთე ამიტყდა ეზოში ნარდი ჩაგვეტანა და ორიოდღე ხელი წაგვეთამაშა. დღევანდელი თითო ბოთლის შემდეგ, წაგებულის ხარჯზე ხელ დილას ბახუსი უნდა გავგვეხარებინა.

— ბავშვებს ვინ მოუფლის, ისევე მეზობელს ხომ არ შევაწუხებ!

— ბავშვებს რა მოვლა უნდა, ითამაშებენ. ესენი ბუნების შვილები არიან, ჩემი კარგო, და ბუნებას უნდა მიანდო მათი გაზრდა.

კურდღელი რომ ბაჭებს მუდამ თან დაყვებოდეს, სიმშლით ამოწყდებოდნენ. გაუფი გაიხარონ, იცეკვონ, იბტუნონ. თავისუფალი აღზრდა ყველაზე კარგი ხერხია ხერხთა შორის...

უფროსოდ დარჩენილ ბავშვების ყურადღება ერთ მათგანს, ყველაზე უფროსს დავაკისრე და ეზოში ჩავედით.

მეორე ხელს ვუგებდი პატივცემულ ტიმოთეს. ის-ის იყო საჭირო დროს დუშაში გავაგორე, რომ ჩემი ბინიდან კატის ტრაგიკული კნავილი და უფროსის მომდევნო ბავშვის — თიკოს კვილი შემომესმა. ყურები დავცქვიტე.

— ძირს ტრუმენი! ძირს ტრუმენი! — ყვიროდა ყველაზე უფროსი, ცხრა წლის ნიკო, რომლის ხმა საერთო ღრიანცელში ოდნავდა მოისმოდა.

კიბეზე ავირბინე. ოთახის კართან ხელმედაკაწრული, დასისხლიანებული თიკო შემომეგება:

— ძილს ტლუმენი! ძილს ტლუმენი! — ტირილ-ზლუქუნით იძახდა ის და ცრემლებად იღვრებოდა. იატაკზე წყლის გუბე იდგა, ნამსხვრევებად ქცეული გრაფინი და მაგიდიდან ნახევრად გადმოვარდნილი სუფრა კარგის მომასწავებლად არ მჩვენა. განჯინის ჩუქურთმაზე თოკი იყო გამობმული, ზედ ჩვენი კატა ეკიდა ფეხებით და კნაოდა საცოდავი.

ტიმოთე-პატივცემული ფეხდაფეხ მომყვა. შეხედა თუ არა ჩემს მიერ აღწერილ სურათს, კბილები გადმოყარა და ქათამივით აკაკანდა. გულზე გავსკდებოდი, რომ სტუმრის ხათრი წამლად არ მეხმარა.

განასკველი თოკი მაკრატლით გავჭერი და საწყალი კატა ძირს დავცა.

გამოძიებას შევეუდექი:

— ომობანას ვთამაშობდით, — დაიწყო ჩვენება უფროსმა, — მე და თიკო კორეა და ჩინეთი ვიყავით. გურამი და ზურა გვინდოდა რომ ტრუმენები ყოფილიყვნენ. შეეშინდათ, არაო, თქვეს. მაშინ ჩვენი ფისო გავხადეთ ტრუმენად და ყველანი დავესიეთ. ფისომ მაგიდაზე შეხტომა მოინდომა, სუფრას დაეკიდა და გრაფინი გადმოვადლო, მერე თიკოს ეცა და ხელი დააკაწრა მაგ სულელმა. გავბრაზდით და ჩამოვიკიდეთ.

საწყალ ტიმოთეს სული შეუტუბდა. ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტად იცინოდა, გეგონებოდათ ასმანეთიანებს ჩადის საანგარიშოშიო. მერე კატის სერიოზული მდგომარეობა გაითვალისწინა და ფეხებიდან თოკის მოსახსნელად წაეშველა. არ ვიცი, თვალთ დაბნელებოდა საიქიოდან გამობრუნებულ კატას, თუ როლი ნამდვილად განიცადა, აგრესორის უნამუსო ბუნება გამოამყლანა: მარჯვენა წინაფეხი ასწია და ტიმოთე-პატივცემულს მარცხენა თვალის კარმიდამო წითლად გაუხაზა.

როცა ზარხოსს გადაცილებულნი ტიმოთეს სახლისკენ მიმავალ აღმართს მივეყვებოდით, ბუზხალტერი სიტყვებს ახურდავებდა:

— ტკი-ტკივილს არ-არაფ-რად ვაგ-ვაგ-დებ, მა მაგრ-ამ ჩე-ჩემი აღ-ალა-თი ექ-ექ-ვი-ვი-ანი ქა-ქალია... რა რა იც-იცის ვი-ვინ დამ-დამაფხაქნა... წა-წამოდი, თუ ძმა-ძმა ხარ!..

გამოსილი კატის შიკაბი

ნახ: ა. კანდელაკისა



— ზეს უკვე სცვივა ფოთოლი, მალე ზამთარი მოვა...
— მალე ზამთარი მოვა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნაყინის გამყიდველს დავინახავთ, ყინულის დამამზადებელი ორგანიზაცია გვემას გადააქარბებს და ჩვენი შიკრიკის შვებულებაში წასვლის დროც მოვა!..

გ. ივანიშვილი

ქაკი და ქვარიანი

საკმაო ხნის წინათ, წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშის კოლმეურნეობას ესტუმრა ვინმე პ. ქვარიანი.
— მომმარაგებელი გახლავართ, ხომ არაფერს ინებებთ?— განუცხადა ქვარიანმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— რით მოგვამარაგებ?

— რა გნებავთ?

— ჩვენ ბევრი რამ გვენებაეს, მაგრამ ამჟამად ხეტყესა და თუნუქს არაფერი გვირჩევნია.

— რამდენიც გინდათ, მაგისტანა რამ შვიდი ვაგონი მაქვს, ნეტა თან წამომელო!

— აწი ჩამოგვიტანეთ, რა უშვას...

და არბოშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. გონაშვილმა ვილაც ქვარიანს 21.259 მან. ჩაუთვალა.

მეორე დღეს პ. ქვარიანი სიღნაღის რაიონის სოფ. მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხ. პაპუაშვილს მიადგა:

— მომმარაგებელი გახლავართ, ხომ არაფერს ინებებთ?

მათ შორისაც დიალოგი იმავე გზით განვითარდა, პაპუაშვილმაც ისევე ბეცურად ჩაუთვალა ქვარიანს 16.006 მან. და მას შემდეგ რომელ ქარს გაყვა ქვარიანი, სიღნაღისა და წითელწყაროს პროკურატურამაც არ იცის.

ჩვენ კი, ქვარიანის საქციელზე მეტად, დაკარგული თანხების ციფრები გვანტერესებს: რომელი კოოპერატიული მაღაზია ჰქონდა ვილაც ქვარიანს, რომ ხელი საანგარიშოსთვის გაეკრ-გამოეკრა და ერთი კოლმეურნეობიდან ზუსტად ოცდაერთი ათას ორას ორმოცდაცხრამეტი მანეთი წაეღო, ხოლო მეორედან— თექვსმეტი ათას ექვსი მანეთი?!

საჩხერაელი გასაკითობი

საჩხერის კულტურის სახლს არ გააჩნდა ტელეფონი. სახლის ადმინისტრაციამ მოითხოვა ცოტა მეტი კულტურული დამოკიდებულება გამოეჩინა მისადმი კავშირგაბმულობის ადგილობრივ განყოფილებას.

ხსენებულმა განყოფილებამ, ალბათ, იმ მოტივით, რომ საჩხერის კულტურის სახლში „ცოტა რამ ეწყობა გასართობი“, აიღო და ექიმ კ. ბორჯაძის ბინის ტელეფონის ხაზი პარალელურად ჩაურთო კულტურის სახლს.

ახლა როცა დაინტერესებული საჩხერელი მაყურებელი კულტურის სახლს ტელეფონით ეკითხება:

— ბოდიში, რა მიდის დღეს თქვენთან?

ტელეფონში ასე უპასუხებენ:

— ნატრი. სულფურიცი...

და როცა ექ. ბორჯაძეს პაციენტი ტელეფონით ეკითხება:

— რომელი წამალი მივცე დღეს იაკინთეს?


ტელეფონში ასეთ პასუხს ღებულობს:

— ტარზანის მეოთხე სერია...

საჩხერის კავშირგაბმულობის განყოფილებამ, კულტურის სახლიც ხომ საბავშვო სახლი არ არის, რომ 1950 წელს 2500 მან. გადაახდევინო და ტელეფონი 1952 წელსაც არ დაუდგა? კულტურის სახლი მოზრდილებისთვისაა განკუთვნილი და იცოდენ, მოზრდილები ხმის ამოდებას მოახერხებენ!

ზოგადი სოფელი

საგაქრო ორგანიზაციები საქონლის განაწილების დროს ზოგჯერ არ ითვალისწინებენ ადგილობრივ მცხოვრებთა გემოვნებასა და მოთხოვნილებას.



ნახ. გ. ფირცხალავასი



— კაცო, ეს რა ჩაუცვამს ჩვენს მართას!

— რა ექნა, ქალაქს წასახვლელად არ ეცალა და კაბაკასტუმი ჩვენი სოფლის მაღაზიაში იყიდა!

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

ბილისი. Сатирико-юмористический журнал „Нянгя“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1952 წ. 8/IX. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 2162 გამოც. № 17. ტირ. 15.000. უფ 05795.

ნაპრვილარ საკავშირო

წითელწყაროს რაიონის სოფ. კედის კოლმეურნეობაში
სარევიზიო კომისიამ ოთხჯერ ჩატარა რევიზია და დანა-
კლისი „გერ“ აღმოაჩინა. სინამდვილენი გაფლანგული იყო
98.000 მანეთი.

— ემ, სად არის რევიზია, თორემ ჩვენი სარე-
ვიზიო კომისია ნამდვილად სა რევიზიოა!

